რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის მეთაურის კომენტარები ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს XI ასამბლეაზე

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 31.08.2022. *მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის მეთაური ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს XI ასამბლეაზე (31 აგვისტო – 8 სექტემბერი 2022 ქ. კარლსრუე, გერმანია) მიტროპოლიტი ანტონი* ***კომენტარებით გამოვიდა*** *გფრ-ს პრეზიდენტის ფ-ვ. შტაინმაიერის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელმაც ფორუმის გახსნაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში ეჭვქვეშ დააყენა ასამბლეში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელაგაციის მონაწილეობას მიზანშეწონილობა.*

31 აგვისტოს ასამბლეის გახსნის ფარგლებში მონაწილეთა წინაშე გამოვიდა გფრ-ის პრეზიდენტი ფ-ვ. შტაინმეიერი, რომელმაც თავის სიტყვაში ეჭვქვეშ დააყენა ემს-ს ასამბლეში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელაგაციის მონაწილეობას მიზანშეწონილობა.

გფრ-ს პრეზიდენტის გამოსვლა შეიცავდა ყოვლად დაუსაბუთებელ ბრალდებებს, სადაც სრულიად იგნორირებული იყო მოსკოვის საპატრიარქოს ყველა ჰუმანიტარული ძალისხმევა უკრაინაში მიმდინარე ურთიერთდაპირისპირების კონტექსტში, ასევე პირდაპირ მოთხოვნას, გაასამართლოს ემს-ს ასამბლეამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია.

მიმაჩნია, რომ ბ-ნ ფ-ვ. შტაიმაიერის პოზიცია წარმოადგენს უხეში ზეწოლის მაგალითს სახელმწიფო ხელისუფლების მაღალჩინოსანი წარმომადგენლის მხრიდან უძველეს ქრისტიანთაშორისო ორგანიზაციაზე, ჩარევას ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შიდა საქმეებში და მცდელობას, ეჭვქვეშ დადგეს ემს-ს მშვიდობიანი და პოლიტიკურად ნეიტრალური ხასიათი.

საგულისხმოა, რომ ბ-ნ პრეზიდენტის გამოსვლამდე მოვისმინეთ ემს-ს გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის დეკანოზ იოანე საუკას სიტყვა, რომელმაც პირიქით აღნიშნა ასამბლეაზე მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლის დასწრების მნიშვნელობა, რადგან ეს პასუხობს უმსხვილესი ქრისტიანთაშორისო ორგანიზაციის თვით ბუნებას, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს დიალოგის, მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელობის საჯაროდ გამოთქმული ეს პოზიცია, ასევე ემს-ს ასამბლეის მრავალრიცხოვანი დელეგატების მიმართვა გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან რუსეთის ეკლესიის დელეგაციისადმი, მოწმობს, რომ ეკლესიის წინააღმდეგ გფრ-ის პრეზიდენტის ბრალდებებს არ გააჩნია ის მხარდაჭერა, რასაც ის ელოდება.

ვიმედოვნებ, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, – რომელიც თავის მოღვაწეობაში ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ ანგაჟირებულ პოლიტიკურ შეკვეთებს კი არ ასრულებს, არამედ ემსახურება მშვიდობისა და თანხმობის დასახულ მიზანს, – კვლავ დარჩება დამოუკიდებელ სადიალოგო პლატფორმად.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89580/